საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

№01-04/28 23.05 2017 წელი

რექტორის ბრძანება № 194 § 13/02 29.10.2012წ. გაუქმების და შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობების დამტკიცების შესახებ

ვბრძანებ:

დამტკიცდეს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები:

1. დამკვირებელი ვალდებულია, საგამოცდო ცხრილში მითითებულ აუდიტორიაში გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10-15 წუთით ადრე;
2. გამოცდაზე მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაიკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს, სექტორის წარმომადგენელი გადასცემს დამკვირვებელს საგამოცდო ფურცლებს, სექტორის უწყისსა და დალუქულ საგამოცდო ბილეთებს, რასაც დამკვირვებელი ხელმოწერით აფიქსირებს მიღება-ჩაბარების აქტში;
3. გამოცდაზე დამკვირვებელი თავის სექტორში არიგებს საგამოცდო ფურცლებს;
4. გამოცდის დაწყების წინ დამკვირვებელი სტუდენტებს აცნობს გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესებს;
5. გამოცდაზე დამკვირვებელი სტუდენტთა თვალწინ ხსნის დალუქულ კონვერტს და სექტორის უწყისის მიხედვით არიგებს საგამოცდო ბილეთებს. ამის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა. დასკვნით/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა, როგორც წესი 1,5 საათი, ხოლო შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა, როგორც წესი არ აღემატება 1 საათს;
6. გამოცდაზე დამკვირვებელი ვალდებულია, დააკვირდეს და მკაცრად აკონტროლოს გამოცდის მიმდინარეობა. წესის დარღვევის შემთხვევაში მისცეს გაფრთხილება სტუდენტს, ხოლო განმეორებითი გაფრთხილებისას, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთით სარგებლობის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან;
7. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი ჩამოართმევს სტუდენტს საგამოცდო ბილეთს და საგამოცდო ფურცლებს. საგამოცდო ფურცელზე აკეთებს წარწერას - „მოხსნილია გამოცდიდან“ - მიზეზების მითითებით, აფიქსირებს სტუდენტის

გამოცდიდან მოხსნას საგამოცდო ნასრომის მიღება-ჩაბარების უწყისშიც, აწერს ხელს და გადასცემს საგამოცდო სექტორის წარმომადგენელს;

8. დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება გამოცდის დამთავრებამდე;

9. დამკვირვებელი ვალდებულია, გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;

10. დამკვირვებელს საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივ ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება;

11. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში რაიმე კითხვის ან პრობლემის არსებობის შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია, მიმართოს საგამოცდო სექტორის თანამშრომელს;

12. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს საგამოცდო დროის დასრულების შესახებ;

13. დამკვირვებელი იბარებს საგამოცდო ბილეთებს, ხელს აწერს უწყისში და დალუქულს ჩააბარებს საგამოცდო სექტორს;

14. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებელის მიმართ გატარდება ადმინისტრაციული ზომები.

საფუძველი: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინება.

უნივერსიტეტის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი: ასოც. პროფ. შ.კირთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი პროფ. იმერ ბასილაძე